



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თინუსი



თინუსი

თინუსი (*Thunnus thynnus* Linnaeus 1758), თევზი სკუმბრიასებრთა ოჯახისა. მისი მაქს. სიგრძე – 450 სმ მასა – 600 კგ ცოცხლობს 15 წლამდე. ხასიათდება დიდი მიგრაციულობით, მრავლდება ხმელთაშუა და შავ ზღვებში მაის-ივლისში. პელაგიური სითბოსმოყვარული ქარავნული მტაცებელი თევზია. იკვებება თევზებით და მოლუსკებით.

გავრცელებულია შავ ზღვაში საქართველოს, ბულგარეთის, რუმინეთის, ყირიმისა და კავკასიის ჩრდ.-დას. ნაწილის სანაპიროებთან; ატლანტის და წყნარი ოკეანეების ტროპ. და განსაკუთრებით სუბტროპ. არეალებში, ასევე ევრ. სანაპიროების ჩრდ.-ბრიტანეთის კუნძულებამდე. ერთეულების სახით გვხვდება ისლანდიაში, სამხრ. და ჩრდ. ამერიკის სანაპიროებთან. მნიშვნელოვანი სარენაო თევზია. დიდი რაოდენობით იჭერენ ატლანტისა და წყნარ ოკეანეებში, ასევე ხმელთაშუა ზღვაში შედარებით მცირე რაოდენობით – შავ ზღვაში. შეტანილია (1982-იდან) ზღვის კანონმდებლობის კონვენციის I დანართში; ბუნების დაცვის საერთაშ. კავშ. (IUCN) – არასრული მონაცემებით (DD).

ლიტ.: ნ ი ნ უ ა ნ., ჯ ა ფ თ შ ვ ი ლ ი ბ., ბ თ ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი გ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; С в е т о в и დ о в А. Н., Рыбы Черного моря, М.-Л., 1964.